„ნამდვილი ლირიკული ნაწარმოებია, თუმცა მასში აზრი და ფიქრი ისე ოსტატურად და ხელოვნურად არ არის გახსნილ-გაჭრილი, როგორც „ცაში“. ჰოეზიის ზმინდა ცვრებში ადგილ-ადგილ პუბლიცისტიკა სჭარბობს, მოქალაქეობრივ აზრს პოეზიის სამოსელი ჩამოცრეცია და ცხადად გამოსჩანს მშრალი მორალი, სენტენცია.

„მთაო, მაღალო“ სატირაცაა; მასში სოციალური აზრი მკაფიოდ, პოეტიურად და სიმბოლიურად არის გამოთქმული. აი ნიმუშები:

„მთაო მაღალო! რას მიყურებ აგრე პირქუშად,
ნეტა რას ნიშნავს შენი აგრე გაამაყება?
კი, მთათ ქცეულხარ, ბედისაგან გაღლაღებულო
და მე — გორაკი — აბა შენთან რას გამოვჩნდები!
გიმზერ შორიდან, გულ-ზვიადო, ტყით დაბურულო,
ტ დაჩაგრული მე ჩემს თავსა ვებღუტ-ბუტები:
შენ თუ ცას ეტრფი ტ ამაყათ თავ-დავიწყებით
ოაჟვარდ სივრცეში ვარსკლავთ კრებულს თვალსა ადევნებ,

ენ იქნება ტანჯულთა კვნესას თითოეულის ბედნიერება ვერა ჰფარავს და იმიტომ ნაღვლობ? მაგრამ ვინ მოახწევინებს შენამდის ამ უბედურთა მოთქმა-გოდებას!..

გამხიარულდი, შუბლ-შეკრულო სამყარო, ჩვენ იმედი გადმოგვივლინე და დასტკბი, დასტკბი შენის სიმშვენიერით!..

ხედავ, როგორ აენთნენ მნათობნი? ღრუბლებს ვერცხლის ტახტი შეუკრავთ, შიგ ჩაწოლილა მთვარე, თვალები მიულულავს, გარს ვარსკვლავები შემოუფანტნია, კვდება, დნება შენის ეშხით, უნდა მოწიწებით გეამბოროს, ქვეყნის ამბავი გიამბოს, გაგართოს, გაგახაროს.

არ გინდა განა, შენის სატრფოს გარდა სხვა მოარშიყე! თვით კეკლუცი მთვარე არარაობათ გეჩვენება, არაფრად აგდებ ვარსკვლავთა ბრჭყვიალებას, ქვეყნის ჯავრიც აღარ გაქვს! რას გარინდებულხარ? მზის მეტი არავინ მოგწონს? ოხ, რა ამაყი, რა ერთგულიც კი ყოფილხარ! გაგეცინა? ჰო, ვიცი, ვიცი, რათაც! მზემ შიკრიკები გამოგიგზავნა. მოვდივარო. მორცხვად აბრჭყვიალდა ცისკარი, ხარის პარიამ მზისაგან გამოტანებული უსტარი გადმოგცა. მზის გზის პირად ძოწეული გაიშალა. გაგაკრჭოლა? სხივით არის დაწერილი უსტარი და შიგ უკვდავი გრძნობა გამოხატულა, ხომ? როგორ გაფითრდი, ედემის სიწითლემ გადაგკრა, გულ-მკერდი აგითრთოლა! სად არის ახლა მთვარე, რომ შურით არ ჩაქრება. ეჰ, გაბარულა კიდეც თავის ამალით, მზემ რომ ამოაშუქა. ბედნიერი ხარ, ბედნიერი! შენთან ერთად ხარობს მთელი ქვეყანაც: ტორუა ბუჩქიდან ამოფრინდა, ყვავილ-ბალახთ ჰირი დაიბანეს, ვარდი ნაზარ გაიზმორა და საყვარლად გადაიშალა, კურდღლის ბაჭიამ დანამულს ველზე შეითამაშა, ყელ მაღალი ჯეირანი, ნორჩი შვლის ნუკრი, ტურფა ირემი ველ-მინდორზე გადაიშალა. ბუმბერაზ მთებმა ამაყად გადახედეს ქვეყანას, ამდერდნენ ფრინველები, სიცოცხლემ ფრთა გაშალა. გამობრძანდა ადამიანიც, შენმა ელვარებამ თვალი მოსჭრა და ქოლგა აიფარა. ვერა ხედავ არაფრად გაგდებს? მაგრამ შენც კი ყურადღებას არავის აქცევ, უკვდავს მომაკვდავისა არ გეშინიან!

ოხ, ცაო, ცაო! ნეტავი მეც შენსავით ბედნიერი ვიყო! ნეტა ცვრად მაინც ვიქცე, რომ ყოველ დილით ჩემს სატრფოს პირი დავბანო ხოლმე; ნეტა ცრემლად ვიქცე, რომ ტანჯულთა თვალზე შევაშრო და მწუხარება სიხარულად შეუცვალო. ჩემი ჯავრი აღარ გაქვს, ჰა? ჩაეკარ, ჩაეგრიხე მზის სხივებს, დადნი, ნეტარებით აენთე? თუ კარგი არ გემეტება ჩემთვის, ეკლად მაინც მაქციე, რომ ბოროტებას თვალში გაგეჩხირო, ან ეფირად მაქციე მაინც, მაგრამ გრძნობას ნუ წამართმევ! მე მინდა მარად თვალ-ყურს ვადევნებდე ქვეყანას, გავიგო როდის მოეღება ბოლო მტარვალებს, უკვდავი თუ არა სატრფოს ფიცი, უანგარო თუ არა „ქვეყნისთვის თავდადებულთა“ მოქმედება?.. ყურს არ მიგდებ? აბა რაღა ჩემი ჯავრი გაქვს! შენ უკვდავი. მე მომაკვდავი ან კი რა გვაქვს საერთო.

„ლექსისებურია“ მისი შემდეგი ნაწარმოებნი: **„მთაო მაღალო!“, „ზღვის პირად“, „ამონაკვნესი“, „ფანტაზია“** და **„ტყეშიც“**.

ამ ნაწარმოებთა ფორმის და შინაარსის ვრცელი და დაწვრილებით ანალიზი შორს წაგვიყვანს. ამისთვის მოკლედ გამოვსთქვამ მათ შესახებ ჩემს აზრს.

„ნამდვილი ლირიკული ნაწარმოებია, თუმცა მასში აზრი და ფიქრი ისე ოსტატურად და ხელოვნურად არ არის გახსნილ-გაჭრილი, როგორც „ცაში“. ჰოეზიის ზმინდა ცვრებში ადგილ-ადგილ პუბლიცისტიკა სჭარბობს, მოქალაქეობრივ აზრს პოეზიის სამოსელი ჩამოცრეცია და ცხადად გამოსჩანს მშრალი მორალი, სენტენცია.

„მთაო, მაღალო“ სატირაცაა; მასში სოციალური აზრი მკაფიოდ, პოეტიურად და სიმბოლიურად არის გამოთქმული. აი ნიმუშები:

„მთაო მაღალო! რას მიყურებ აგრე პირქუშად,
ნეტა რას ნიშნავს შენი აგრე გაამაყება?
კი, მთათ ქცეულხარ, ბედისაგან გაღლაღებულო
და მე — გორაკი — აბა შენთან რას გამოვჩნდები!
გიმზერ შორიდან, გულ-ზვიადო, ტყით დაბურულო,
ტ დაჩაგრული მე ჩემს თავსა ვებღუტ-ბუტები:
შენ თუ ცას ეტრფი ტ ამაყათ თავ-დავიწყებით
ოაჟვარდ სივრცეში ვარსკლავთ კრებულს თვალსა ადევნებ,

ჩვენი ბელეტრისტები

ია ეკალაძის შემოქმედება.

(მოთხრობები. ტ. I, 1904 წ.)

I

(შემდეგი *)

ბ. ია ეკალაძის „**ცას**“ (ლექსი პროზად) შეუდარებელი განხორციელებაა ბუნებისა. ავტორი გვიხატავს მოკლედ, მაგრამ კოხტად, ლამაზად სურათს და ბაიერონისებურად, შესანიშნავის ხელოვნებით, მასში ჩააქსოვს ღრმა აზრს, მწარე ფიქრებს, მგზნებარე და აბობოქრებულ გრძნობას ცხოვრებაზე, ადამიანზე და მის ბედიღბალზე. აზრ-იდეით, ცხოვრების ვითარებით და მოვლენათა განსჯვრეტით ეს ნაწარმოები უფრო ზოგადია, უფრო ფართეა, ვინემ **„ჩემი ცოდვა გქონდეს“**, სადაც მხოლოდ ღალატი და გაუტანლობაა დასურათებული. ავტორი ამ ესკიზში გამოდის ყველა ტანჯულთა და მაშვრალთა ქომაქად. ცას სძულს მტარვალი, ზიზღით შეჰყურებს ძალმომრეობაზე აგებულ ბედნიერებას და ნატრობს, როდის დადგება ისეთი დრო, როდესაც აღიგვება მტარვალთა სახელი და ყალბი შარავანდედი სამარცხვინო ძოწეულად შეეცვლებად.

პოეტი მიჰმართავს მზის სხივებს მოკლებულ ცას და ეკითხება: „რას მოიღრუბლე, შუბლი რად შეიკარ, თეთრ-ლურჯად მოკამკამე სამყარო? მზე ჩაესვენა? გენაღვლება განა, გული გეხურება და ფერი მიგდის, შენს სატრფოს რომ შორდები? აგერ აღმოსავლეთით მოპირქუშდი კიდეც. ცრემლი გერევა, ღრუბლებს ეფარები, რომ თავი შეიმაგრო. მხოლოდ შენი და... მორცხვად იღიმება, ჩამავალ მზეს ეალერსება, ფითრდება, ცახცახებს, ღიმილი მწუხარებად ეცვლება.

სულ მთლად დაწუხდი კიდეც, გლოვის კაბა ჩაიცვი, აღარ გინდა ულურო ქვეყანას? მერე რა გაღონებს? მალე, ძალიან მალე ამოცურდება ქვესკნელიდან ბადრი მთვარე და გულ-მკერდს დაგიკოცნის, ნაღვლიან სახეს შარავანდედით შეგიმოსავს, შენთან ერთად სევდიან სხივს დაადურქვევს და ღრუღების თაიგულს მოგართმევს: ზედ აასხავს ვარსკვლავთა კუნწულებს, ირმის ნახტომით შეჰკონავს და ხომლის ჯინჯილს გაუკეთებს. მაინც რა გინდა? ოხ, რა ძლიერად გყვარებია მზე!

აბა, დახე როგორ აციმციმდა ვარსკვლავთა კრებული, რა გაუბედავად მიმოსრიალებს მთვარე, რა ოქროს ფრად დაღება შენი შავი სუდარა! ქვეყანამ ნეტარებათაც კი დაიძინა, ტკბილი სიზმრები შემოიბურა, შენი ეშხით დადნა, დაილია, ღრუბლები დაიბნა, რომ ყური დაუგდოს ძირს, მშვენიერ ვარდ-ნარში ხელიხელ გადახვეულ შეყვარებულთ. ნუ გეშინიან, შენ ყველაფერს გიამბობს. იქნება არაფერი გჯერა ადამიანის ფიცისა? ნუ, ნუ იქნები ეგრედ ურწმუნო, შენს მწუხარებას ქვეყნის ავკარგიანობას ნუ დაუნაცვლებ!

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 728

ქართოფილი, რომლის მსგავსიც ჯერ ქართლში არ მოსულა.

ბათუმი

✦ 20 ოქტომბერს, როდესაც საარჩევნო დარბაზში შემოვიდა ამომრჩეველი **აკაკი ჩხენკელი**, ადმინისტრაციამ დააპატიმრა, როგორც ადმინისტრატიულად გადასახლებული (დონის როსტოვში) და თავის ნებით ჩამოსული. ხოლო როდესაც ბ-ნი ჩხენკელი დეპუტატად აირჩიეს, ადმინისტრაციამ გაანთავისუფლა იგი. ჩხენკელი ქუთაის გაემგზავრა.

სიღნაღი

✦ **ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** სიღნაღის განყოფილების წევრთა კრება 14 ოქტომბერს მოხდა [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ვილნა. სახელ. სათ. დეპუტ. აირჩიეს: ციუნელისი, უპარტიო სვენიცკი, მაცეევიჩი და პოლ-კოლოს წევრი პუტაკამერი.

ვოლოგდა. სახელმწ. სათ. დეპ. აირჩიეს ზომიერი მემარჯ. კაბანოვი, ზომიერი მემარჯ. მოჟაისკი, მემარჯ. დეკანოზი გვოზდევი.

კალიში. დეპუტატად აირჩიეს პარჩევსკი.

კიევი. მეორე კურიაში აირჩიეს კადეტი ივანოვი.

კოსტრომა. დეპუტ. აირჩიეს. კადეტი მუხინი, კადეტი შჩულებპნიკოვი, კადეტი გერასიმოვი.

კოსტრომა. დეპუტ. აირჩიეს. მემარცხენე შაგოვი, პროგრესისტი ზუზინი, პროგრესისტი კონოვალოვი.

კოვნა. რუსთა მცხოვრების დეპუტატად აირჩიეს მემარჯვენე ვასელჩიკოვი.

ნოვგოროდი. დეპუტ. აირჩიეს: მემარჯვენე კირშინი, ოქტომბრისტი გრაფი ბენიგსენი ზომიერი მემარჯ. მილიუტინი, ნაციონალისტი პოლოვცევი და ოქტომბრისტი ტიტმარევი და გრიმი.

კალუგა. დეპუტატად აირჩიეს: ოქტომ. სმელოვი, ოქტომ. იანოვსკი, კადეტი ნოვოსილცევი, კადეტი გრაფი ორლოვ-დავიდოვი, ოქტომბრისტი დმიტრიუკოვი.

პეტროზავოდსკი. დეპუტ. აირჩიეს: მემარჯ. არისტრახოვი, მემარჯ. ნეელოვი, ოქტომბრისტი კაზანსკი.

პენზა. დეპუტ. აირჩიეს: მემარჯ. ხარიტოვი, ოქტომბრ. თავ. ვოლკონსკი, ოქტომბრისტი უნკოვსკი.

პერმი. დეპუტ. აირჩიეს: ნაციონალისტი პერეკოზჩიკოვი, ზომიერი მემარჯ. ბუსანიტი, ნაციონალისტი დეკანოზი ბლაგონრავოვი, კადეტი სტეფანოვი.

რიაზანი. დეპუტ. აირჩიეს: მემარჯ. მილიაკოვი, მემარჯ. კუზმინი, ოქტომბრისტი იარცევი.

პეტერბურგი. გუბერნიაში დეპუტ. ამოირჩიეს: ოქტომბრისტი ევსეევი, ოქტომბრისტი ზინოვიევი, პროგრესისტი პოსტნიკოვი, მემარცხენე ბადაევი.

იაროსლავი. დეპუტ. აირჩიეს: ზომიერი ბელიაევი, მემარჯ. რატკოვროჟნოვი, ოქტომბრისტი ჩერნოსვისტოვი, ურუსოვი, ოქტომ. ტუჩკოვი.

სუვალკი. დეპუტ. აირჩიეს ზომიერი ლუაკაიტისი.

უფა. აირჩიეს კადეტი სიჩევი, კადეტი ბელგუნოვი გუტოპო, მუსულმანთა ფრაქციის წევრი ოსტიამოვი, კადეტი კატანსკი.

ეკატერინოდარი. აირჩიეს კადეტები ბარდიჟი და ნიკოლაევი.

ბათომი. აირჩიეს აკაკი ჩხენკელი, სოციალ-დემოკრატი.

სარატოვი. აირჩიეს მემარჯ. რიბლოვი, პროგრესისტი გოტოვიცკი და სოციალ-დემოკრატი კერესკი.

სტავროპოლი. არჩეულია: მემარჯვენე მიროშნიჩენკო, მემარჯ. იარიგინი, პროგრესისტი სტარლიჩანოვი.

თემენ-სან-ბურო. აირჩიეს ოქტომბრისტი დალგატი.

ელისავეტპოლი. აირჩიეს: პროგრესისტი ჯაფაროვი, პროგრესისტი პაპაჯანოვი.

ვორონეჟი. არჩეულია მემარჯვენე კოტლიარევი.

რუსეთი

გუჩკოვის მოხსენება.

მოსკოვში საარჩევნო ბრძოლა იყო გაჩაღებული. იმართებოდა წინასწარი კრებები, საცა კადეტების და მემარცხენე პარტიების მჭერმეტყველნი ერთმანეთს ებრძოდნენ ოქტომბრისტები კი არსად სჩანდნენ, თითქოს არჩევნების ბედ-იღბალი არც კი აინტერესებთო. 15 ოქტომბერს საარჩევნო კრება გამონაკლის შეადგენს. ეს კრება არც კი შეიძლება საარჩევნოდ ჩაითვალოს, რადგანაც განსაკუთრებით ოქტომბრისტები დაესწრნენ და აზრის შეხლა-შემოხლა არა ყოფილა. გუჩკოვმა წაიკითხა მოხსენება, სახელმწიფო სათათბიროს მოქმედებისა. პირველ ყოველისა გუჩკოვმა აღნიშნა, რომ მესამე სათათბირომ სახალხო წარმომადგენლობას ფესვი გაუმაგრა და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდრაო. ოქტომბრისტების პარტია, გუჩკოვის განმარტებით არის „ხელშეკრულება მოსავრობისა და ხალხის ურთი-ერთობისა“. შეცდომად ხომ არ ჩაეთვლება ოქტომბრისტებს ის საქციელი, რომ მთავრობას ნდობით ეკიდებოდნენო,—იკითხა გუჩკოვმა. ამ საკითხს მოხსენებით პასუხი გასცა გუჩკოვმა. მოავრობის ნდობით მოკიდებამო რუსეთს ბევრი კარგი შესძინა და ბევრი სასარგებლო რამ გააკეთაო. მართალია, დღეს-დღეობით სანუგეშო არაფერია, თითქმის დაპირებულის ასრულება არა სჩანსო,—სთქვა გუჩკოვმა,—მაგრამ ოქტომბრისტებსა სწამთ რუსეთის ბედნიერება, სწამთ, რუსეთი წყვდიადს თავს დააღწევს და ნათელ გზაზე გავაო. როგორც ჰხედავთ, გუჩკოვის სიტყვა დიდ იმედიანობით არის გაჟღენთილი; საუბედუროდ სიტყვის პირველი ნაწილი არ ეთანხმება მეორე ნაწილს სევდიანისა და ნაღვლიანის გულით აღნიშნა გუჩკოვმა. რომ ადმინისტრაციის მოქმედება საარჩევნო ბრძოლაში არა კეთილ-სასურველიაო. კადეტებს საარჩევნო კრებებზე თვისი სახელის ხსენება არ შეუძლიანთ და იძულებულნი არიან ეზოპის ენით ილაპარაკონო. გუკოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სასულიერო წოდების გამოლაშქრებას საარჩევნო ბრძოლის ასპარეზზე და აღნიშნა მღვდლების უმწეო მდგომარეობა, რაც აიძულებს მათ უეჭველად მემარჯვენე დეპუტატი აირჩონო. ეს ღრმა შეურაცყოფაა სამღვდელოებისა, მათი ავტორიტეტის აბუჩად აგდებაო“,—სთქვა გუჩკოვმა. „მთელს რუსეთში, განაგრძო მან—მათი აღმატებულება და მათი უგანათლებულესობა თათბიროობენ, სიებს ადგენენ და მათთვის სასურველი დეპუტატები გაჰყავთო. შედეგი ამისი ის იქნება, რომ მეოთხე სათათბიროს ექნება დამდა „მათი აღმატებულების ნებართვით და მათი უგანათლებულესის კურთხევითო“. უკანასკნელმა სიტყვებმა განუწყვეტელი ტაშის ცემა გამოიწვია.

გუჩკოვი აქებდა მესამე სათათბიროს მოქმედებას და მეოთხე სათათბიროს მოქმედებისას კი „რა მოგახსენოთო“, ბძანებდა. (რუსკ. ვედომ.)

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი

„სამეგრელოს მთავარი ლევან“. ისტ. დრ. 5 მოქმედ. ვ. ყიფიანისა.

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენს დღევანდელ თეატრს მოსწავლე ახალგაზდობა და საზოგადოების ეგრეწოდებული დემოკრატიული ნაწილი ასაზრდოებს. ესენი არიან სწორედ, რომ შავს პირობებში მყოფ ჩვენს მსახიობთ იმედის მცირე შუქს მაინც ჰფენენ და შრომის ხალისს არ უკარგავენ. ეროვნული სცენის ამ უანგარო მოტრფიალეთ რეპერტუარიც თავისი, განსაკუთრებული აქვთ. იგინი ყოველთვის დიდის ხალისით ესწრებიან ისტორიულ შინაარსის წარმოდგენებს, რომელნიც, სხვა პიესებთან შედარებით, ყოველთვის უკედ დაიდგმის და უკედვე სრულდება ხოლმე. თვით მსახიობნიც თითქოს უფრო თავისუფლად მოქმედებენ და სუნთქვენ ასეთ პიესებში. არც გასაკვირველია, რადგან ჩვენი თეატრის რეპერტუარში ისტორიულ პიესებს დღემდის უპირატესობა ჰქონდა და სწორედ ამგვარი ხასიათის ნაწარმოებზე არიან აღზრდილნი, როგორც მსახიობთა უმეტესობა, ისე თეატრში მოსიარულენიც. გუშინდელმა წარმოდგენამ ნათელჰყო ზევით გამოთქმული მოსაზრება. ძვირად გვინახავს ქართულ სცენაზე ისე მწყობრად, ისე შეთანხმებულად ასრულებული პიესა, როგორც გუშინ. სწორედ ამ ძველი სკოლის ნაწარმოებში გამოიხატა მთელი თვისი სისრულით ჩვენი მსახიობების ძალა და ნიჭი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ წვრილმანებს, რომელნიც პიესის დეფექტად უფრო უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თვით მოთამაშეთა, უკეთეს ასრულებას ვერვინ ინატრებდა.

ბ-მა გუნიამ (ლევანი) უტყუარი სისწორითა და სრულის განსახიერებით ალადგინა სამეგრელოს „დავით ალმშენებელის“ ისტორიული სახე. განსაკუთრებით მომხიბლველი იყო მისი თამაში იმ ადგილებში, სადაც ლევანის სულს ორმაგობის საშინელება ჰგლეჯს. მდიდარი მიმიკა, თავისუფალი მოქმედება და როლის შესაფერი „ალლური“—აი ბ. გუნიას გუშინდელი სამკაული.

ღირსეული თანამოზიარე იყო ლევანის როლის ამსრულებლისა ბ. ვ. შალიკაშვილი. პირველ გამოსვლისათანავე მიიპყრო მან ჩვენი ყურადღება. ხომ მოგეხსენებათ, რომ ნიჭიერი მსახიობი სულ უმნიშვნელო მოძრაობით გამოხატავს მას, რასაც სხვა რთული ჭაპან-წყვეტით ვერ გადმოგცემთ. როდესაც ლევანი და არჩილი ხმლით შეუტევენ ერთმანეთს, გიორგი ძლივის უსწრაფეს აუკრავს იარაღს არჩილს და ხმალს ხელიდან გაადგებინებს. ბ-მა შალიკაშვილმა ისეთი მოხერხებით აასრულა ეს სცენა, რომ მაშინვე მიიპყრო მაყურებლის გულისყური. საზოგადოდ, მისმა ბუნებრივმა მოქმედებამ, კილომ და როლის სინამდვილით გაცხოველებამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება.

მშვენიერი არჩილი იყო ბ. ზარდალიშვილი. თვისი დაკვირვებული თამაშით, როგორც ყოველთვის, მან განუზომელი სისრულით წარმოგვიდგინა ლაღი, სიყვარულით გატაცებული მეჯნური დედოფლისა. ბ. კ. მესხმაც მოხერხებულად განსახიერა გაიძვერა იმერლის, პაატას როლი, რომლის სულის საზრდოსაც მხოლოდ ინტრიგების დაესრულებელი ქსელის გაბმა შეადგენს. ცოტა რომ მეტი სიმსუბუქე ყოფილიყო მოქმედებისა, როლი უფრო მოიგებდა.

არც ქალთა როლების ამსრულებელნი იყვნენ წუნ-დასადები. ქ-მა დავითაშვილმა ჩვეულებრივის წრფელის გრძნობით გაათბო დედოფლის როლი და საუცხოოდ გადმოგვიშალა თვალწინ მისი უმანკო სულის მძიმე ტანჯვა.

დარეჯანის როლში პირველად ვნახეთ ქ-ნი ა. ქიქოძე და, სიმართლე უნდა ვაღიაროთ, მისმა მგრძნობიარე და გონიერ დაკვირვებით განმტკიცებულმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დარეჯანის როლი ერთ უძნელეს და ურთულესთაგანია მთელს პიესაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქ-ნმა ქიქოძემ ღირსეულად გაასულდგმულა იგი.

ქ-ნი თ. გოგოლაშვილი ქეშმარიტი სახე იყო ლევანის დის, მარიამისა, რომლის სიმპატიურმა სულისკვეთებამ ღირსეული გამომხატველი ჰპოვა მასში. მადლიერი როლი მადლიერისავე ამსრულებლის ხელში იყო და, საკვირველი არაა, თუ ქ-ნ გოგოლაშვილის მოქმედებამ შესაფერი გავლენა იქონია მსმენელებზე.

თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, ბევრი უადგილობისა გამო უკანვე დაბრუნდა. **კოლხი.**

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ბ-ნ გიორგი სალარაძეს, რომელმაც ნივთიერი დახმარება აღმომიჩინა ბრიუსელში ყოფნის დროს: ერთხელ ოთხი თუმნით, მეორეხელ კიდევ, წამოსვლის დროს ექვსი თუმნით, ამასთანავე დიდ მადლობას ვწერავ ბ-ნ გოკირიძეს და იმ პირთ, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ და ხელს უწყობდნენ ბ-ნ გ. სალარაძეს ჩემ სასარგებლოდ გამართულ სალიტერატურო საღამოებზე.

პატივისცემით **დ. კასრაძე.**

გულის-წყრომა. გაზეთ „ზაკავკ. რეჩ“. მე-234 ნომერში წავიკითხე, დამაფასებელ ლ. ფურცელაძის საქციელის შესახებ კ. ხერხეულიძესთან. რაც უნდა დამნაშავე ყოფილიყო კ. ხერხეულიძე ლ. ფურცელაძესთან მას მაინც უფლება არა ჰქონდა, დაბრმავებულ ადამიანს ხელით შეჰხებოდა. თუმცა ჩემი გულითადი მეგობარია ლ. ფურცელაძე, მაგრამ მე მაინც მას ჩემს გულის წყრომას ვუცხადებ ამ არა საკადრის საქციელისთვის.

დუშიკო ფალავანდიშვილი.

გამოსაღები ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დღ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარეკი** № 106. ღილ. 5 ს. 53 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს 20 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 7 ს. 54 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ერევნისაკენ: საფ. № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ. **სახ.-საბ.** № 8|7, ნაშუადღევი 1 ს. 6 წ. **სახ.-საბარგ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 ნ, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარეკ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ. № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარეკ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83/7 ნაშ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 43, დილ. 8 ს. 0 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 ნ, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში: სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62 დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77, დილ, 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, ღილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84. ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპანიდან ქუთაისს სახ № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და **ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 II, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 II, საღამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 II, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 II. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 II, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 II, ნაშ. 6 ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და **ნატანებში: სახ.** № 18, 53, 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **ვ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის **ბაზარში ქრ. ლ. ქალანთარი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ., 517).

5—6 **ი. ვ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ბ. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ბ. გედბლინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **ზ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. ზ. თბილისიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ბ. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ბ. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

(ზამთრობით)

15 ოქტომბრიდან,

შავ-ზღვაზე.

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

„ვაჭრობა-ნავოსნობის“

საზოგადოების გემები.

ბათომიდან გადის:

1) პირდაპირი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ., შაბათ.**, ნაშუადღ 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომში მოდის:

ოდესიდან პირდაპირი, **საფ., პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 18 წ.
№ 1. **სამშ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

კასპიის ზღვაზე.

„კავკაზი და **მერკური“**

საზოგადოების გემებისა.

ბაქოდან გადის:

კრასნოვოდსკს, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
ენზელს პირდაპირი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

ასტარას, ხუთშ. ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

ბაქოში მოდის;

კრასნოვოდსკიდან ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
ენზელიდან ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
ასტარიდან კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

განცხადებანი

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ გინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვინ მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ალაჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშახგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროთერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვიცა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურსა და ქიმიურს. ყველაფერ ულრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაურიდ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513 **ძმ. პ. გ.** და **მ. ლომაძე.** 1560.

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება

კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ჭირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასარიანი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. ხაბეიროვ ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. ბ. ბაგეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. ბურგენოვი: 12—1 ს. საბეიროვ, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი ცაბაგშვთ და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბეიროვ დ. ქალების ავად.

საღამოთი:

მ. გ. ბაგეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1078

ჭიათურის

შავი-ქვის საბრეცხ მექარხნეთა საყურადღებოდ: სატრიალებელი ღვედები Т-ва „Треугольникъ“-ისა წარმომადგენელი ჭიათურაში: **ძმ. პ. გ.** და **მ. ლომაძე.** 1560.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჭოლოჭაძის

თხზულებანი:

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნაბაზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 „
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 „

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება აკაკის თხზულებანი:

აკაკის რჩეული ლექსები ფასი	10 კ.	— ორი პუბლიც. სტატია	10 „
— ალექსი	10 „	— ოცნება	10 „
— ბაგრატ დიდი	10 „	— სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა	10 „
— გამზრდელი	5 „	— სიმღერა	15 „
— გოგია მეჩონგურე	5 „	— ყვითელი სანთელი	10 „
— გორის ციხე	5 „	— ქუთათლის სიზმარი	5 „
— დათუნა გოცირიძე	5 „	— ჩემი ნაწერები	75 „
— თამარ მეფე	5 „	— ჩემი თავგადასავალი 1 მ.	— „
— იგავ-არაკნი ნათარგმნი	50 „	— წმინდა ნინო	20 „
— ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი	10 „	— Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ	20 „
— მამლის ყივილზე	10 „		
— ნათელა	20 „		
— ნაკარქექია	10 „		

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

მიგიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კავიარ.) ზიზილალა.

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

კონსერვები,

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ჟიტკა), ორაგული, თართი, ტარადანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მოხარშული დოში, ზურგიელი,

და ყოველგვარი

✦ შავი ხიზილალა ✦